ხელშეკრულება № 1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე (CPV 79713000)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "12" 04 2012 წ. თბილისი.

ერთის მხრივ, **სსიპ ,,საჯარო აუდიტის ინსტიტუტი"-ს,** წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა თარხნიშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი წამებულის) გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 206350312
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCGE22; ა/ა GE48TB7452934020100001

და მეორეს მხრივ, **შპს ,,დაცვის სამსახური მგლები"-ს** წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ჯანელიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მკრ I კორპუსი 15 ბინა 26; ფაქტიური მისმართი: თბილისი ბაქრაძის ქუჩა #6 სართული მე-8 სართული
საიდენტიფიკაციო კოდი: 205256024
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი" TBCBGE22; GE25TB1882936080100001
შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ა) „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

ბ) „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

გ) „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

დ) „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

ე) „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, აღნიშნული ხელშეკრულების და დანართი N1-ის გათვალისწინებული ტექნიკური პირობების საფუძველზე "შემსყიდველი" ავალებს, ხოლო "მიმწოდებელი" ახორციელებს "შესმყიდველის'' ობიექტზე, მდებარე ქ. ბათუმი ორბელიანი ქ. №10, ყოველდღიურად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას (CPV79713000).

2.2. "ობიექტის" დაცვას შემსრულებელი განახორციელებს 4 (ოთხი) მცველით, გრაფიკის შესაბამისად და ცსპ-ს საშუალებით სიგნალიზაციაზე აყვანიდან მის მოხსნამდე.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **2665** (ორიათასექვსასსამოცდახუთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 1332,50 (ერთიათასსამასოცდათორმეტი ლარი და 50) ლარს, დღგს-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

4. *მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი*

4.1. მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის მომსახურების მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 12 ივნისამდე უწყვეტად.
4.2. შესყიდვის მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ორბელიანი N10.

მუხლი 5. ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 მომსახურება, ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.3 მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.4 შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების, ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: საკუთარი შემოსავალი;
7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. ფასები

8.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).
8.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
9.2 ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და

დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

9.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 10. მხარეთა ურთიერთობა

10.1 ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას (შესაძლებელია ელექტონული საშუალებით);

10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 11. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

11.1.შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;

11.2.შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

11.3.მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

11.4.. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

11.5. "შემსყიდველი" ვალდებულია:

11.5.1. ხელშეკრულების ხელმოწერამდე განუსაზღვროს "ობიექტის" მთლიანი და მიმდებარე ტერიტორია.

11.5.2. ხელშეკრულების პირობებისა და ვადების შესაბამისად დროულად განახორციელოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან;

11.6. "დაცვა" ვალდებულია:

11.6.1 ხელშეკრულების გაფორმებისთანავე "შემსყიდველისაგან" ჩაიბაროს "ობიექტი";

11.6.2 მოქმედი კანონმდებლობისა და აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს "ობიექტის" დაცვა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით;

11.6.3 სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ობიექტზე იმყოფებოდეს დამტკიცებული ფორმის ტანსაცმლით.

11.6.4 სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს და საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტურ ორგანოებს;

11.6.5 უზრუნველყოს "დამქირავებლის" ობიექტის დაცვა ცსპ-ს საშუალებით სიგნალიზაციაზე აყვანიდან მის მოხსნამდე.

11.6.6 სიგნალ "განგაში"-ს მიღებისას გამოცხადდეს ობიექტზე უმოკლეს ვადაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილების მიზნით.

11.6.7 გამოიძახოს "დამქირავებელი" ან პასუხისმგებელი პირი ცს პულტზე სიგნალი "განგაში"-ს დაფიქსირების შემთხვევაში ობიექტის გასახსნელად, სიგნალის მიზეზის დასადგენად და ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად.

11.6.8 ქონების დაზიანების ან სხვა ინციდენტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციის სათანადო სამსახურებს და მათ მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე არ არსრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

12.3 ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4 წინამდებრე ხელშკერულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 01% პროცენტის ოდენობით.

12.5შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ვადაგადაცილებული თანხის 0.1 პროცენტი.

12.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 13. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში

მუხლი 14. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 ივლისამდე.

მუხლი 15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

15.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

16.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მიმწოდებლის მიერ, დარღვეული იქნება მომსახურების გაწევის ვადები 10 დღის განმავლობაში.

16.3შემსყიდველის მიერ 10 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

16.4ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 17. დავათა განხილვის წესი

17.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. დამატებითი პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

18.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

18.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
შოთა თარხნიშვილი _____	ლევან ჯანელიძე _____
სსიპ „სახელმწიფო აუდიტის ინსტიტუტის“	დირექტორი
დირექტორი	
ბ.ს.	ბ.ს.

დანართი №1

ტექნიკური პირობები

მომსახურება უნდა განხორციელდეს:

სსიპ ,,საჯარო აუდიტის ინსტიტუტი"-სათვის მომსახურების გაწევა განხორციელდება სსიპ ,,საჯარო აუდიტის ინსტიტუტი"-ს ბალანსზე რიცხულ ობიექტზე, მდებარე ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის N10.

მათში არსებული მატერიალური ფასეულობებისა და ასეთი საქმიანობისათვის ლიცენზირებული კომპანიის მიერ.

ობიექტის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: სულხან საბა ორბელიანის ქუჩა №10, სამი სართული და მიმდებარე ტერიტორია.

მიმწოდებელმა მომსახურების განხორციელებისას უნდა უზრუნველყოს:

ა) შესაბამისი გამოცდილებისა და პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომელთა შერჩევა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება გაწეული სადღეღამისო მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს;

ბ) დაცვითი მომსახურების განხორციელების გეგმის შედგენა;

გ) შემსყიდველთან შეთანხმებული სასაშვო რეჟიმის კონტროლი, რათა არ დაუშვას დაწესებულების ტერიტორიაზე უცხო პირთა შეღწევა;

დ) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს როგორც ,,შემსყიდველის", ისე ,,მიმწოდებლის" ხელმძღვანელობას და საჭიროებისამებრ კომპეტენტურ ორგანოებს და აღნიშნულ პირთა მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

ე) თანამშრომელთა აღჭურვა დაცვისთვის საჭირო აღჭურვილობით (საჭიროების შემთხვევაში ავტოტრანსპორტი, კავშირგაბმულობის საშუალებები და ა.შ.)

ვ) დანაშაულის აღკვეთა საგანგაშო სიგნალიზაციის (ღილაკის) მეშვეობით, ცენტრალიზებული დაცვის პულტზე მიღებულ განგაშზე სათანადო რეაგირების გზით.

,,მიმწოდებელი" ფინანსურ პასუხისმგებლობას იღებს იმ მატერიალური ფასეულობების დაკარგვაზე, რომელთა გატანა დაცული ტერიტორიის გარეთ შეუძლებელია დაფარულად (მათ შორის დესკტოპის ტიპის ქეისი, მონიტორი, მუდმივი კვების წყარო, ტელევიზორი, ავეჯი, ჭაღი, კონდიციონერი, საშუალო და დიდი ზომის სანტექნიკური მოწყობილობა და სხვა).

.....

თანამდებობა სახელი გვარი